

ფუნდამენტური კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების შესახებ 2021 წლის კონკურსში რეგისტრირებული პროექტებისათვის საბოლოო ქულის გამოთვლისა და დაფინანსების წესები.

§1. პროექტის საბოლოო ქულის გამოთვლის წესი.

1. კონკურსის პირობებთან შესაბამისობაში მყოფი პროექტები ფასდება საქართველოს მთავრობის 2011 წლის 16 თებერვლის №84 დადგენილების დანართი №2-ით განსაზღვრული კრიტერიუმების შესაბამისად.
2. პროექტები შესაფასებლად გადაეცემა საერთაშორისო ექსპერტთა ჯგუფებს (პანელებს), რომელიც თითოეულ პროექტს გადასცემს ორ დამოუკიდებელ ექსპერტს შესაფასებლად.
3. ორი დამოუკიდებელი ექსპერტის მიერ შეფასებული პროექტი, მიღებულ შეფასებებთან და პროექტის ხელმძღვანელის განმარტება/დაზუსტებასთან¹ ერთად (ასეთის არსებობის შემთხვევაში), განიხილება და შეფასდება დარგობრივ ექსპერტთა ჯგუფის (პანელის) მიერ. ექსპერტთა ჯგუფი (პანელი) განსაზღვრავს საბოლოო ქულასა და წარმოადგენს კომენტარს თითოეული პროექტისათვის.

§2. საუკეთესო პროექტების განსაზღვრის წესი სამეცნიერო მიმართულებების მიხედვით.

1. საუკეთესო პროექტების განსაზღვრისათვის პირველ ეტაპზე თითოეული სამეცნიერო მიმართულებისათვის 1, 2, 3, 4, გამოითვლება იმ პროექტების ქულათა საშუალო არითმეტიკული, რომლებიც 36 -ზე მეტია ან ტოლია და შესაბამისად აღინიშნება q1, q2, q3, q4 - ით.
2. საუკეთესო პროექტების განსაზღვრისათვის მეორე ეტაპზე თითოეული სამეცნიერო

¹ პროექტის ხელმძღვანელს ეძლევა საშუალება გააკეთოს განმარტება/დაზუსტება, თუკი ის არ ეთანხმება ექსპერტ(ებ)ის მოსაზრებას.

მიმართულებისათვის 1,2, 3, 4, გამოითვლება იმ პროექტების ქულათა საშუალო არითმეტიკული, რომლებიც მეტია ან ტოლია შესაბამისად q_1, q_2, q_3, q_4 - ზე და აღინიშნება შესაბამისად n_1, n_2, n_3, n_4 - ით.

3. n_1, n_2, n_3, n_4 არის შესაბამისად 1, 2, 3, 4 სამეცნიერო მიმართულებების ქვედა ზღვარი.
4. პროექტებს, რომელთა შეფასებაც მეტია ან ტოლია შესაბამისი სამეცნიერო მიმართულებების ქვედა ზღვარზე, ეწოდებათ საუკეთესო პროექტები.

§3. კონკურსის ბიუჯეტის განაწილების წესი სამეცნიერო მიმართულებების მიხედვით.

1. t_1 -ით აღინიშნება პირველ სამეცნიერო მიმართულებაში საუკეთესო პროექტების რაოდენობა. t_2 -ით აღინიშნება მეორე სამეცნიერო მიმართულებაში საუკეთესო პროექტების რაოდენობა და ა.შ. t_4 -ით აღინიშნება მეოთხე სამეცნიერო მიმართულებაში საუკეთესო პროექტების რაოდენობა.

2. ავღნიშნოთ

$$T = \frac{4t_1 + 4t_2 + 3t_3}{3}.$$

3. თითოეული სამეცნიერო მიმართულებისათვის 1, 2, 3 განისაზღვრება კოეფიციენტი შემდეგი ფორმულებით:

$$k_1 = \frac{4t_1}{3T}, \quad k_2 = \frac{4t_2}{3T}, \quad k_3 = \frac{t_3}{T}.$$

4. თითოეული სამეცნიერო მიმართულებისათვის 1,2, 3 განისაზღვრება ბიუჯეტი შემდეგი ფორმულებით:

$$f_1 = Bk_1, \quad f_2 = Bk_2, \quad f_3 = Bk_3,$$

სადაც f_1, f_2, f_3 არის შესაბამისად პირველი, მეორე და მესამე სამეცნიერო მიმართულებების ბიუჯეტები, ხოლო B წარმოადგენს 1, 2, 3 სამეცნიერო მიმართულებებისათვის გამოყოფილ მთლიან ბიუჯეტს, რაც შეადგენს კონკურსის ბიუჯეტის 90%-ს.

5. მეოთხე სამეცნიერო მიმართულებისათვის (საქართველოს შემსწავლელი მეცნიერებები) განსაზღვრული ბიუჯეტი² f_4 შეადგენს კონკურსის ბიუჯეტის 10%-ს.

² თუ მეოთხე სამეცნიერო მიმართულებაში (საქართველოს შემსწავლელი მეცნიერებები) არცერთი პროექტი არ შეფასდება 36 -ზე მეტი ან ტოლი ქულით, მაშინ აღნიშნული მიმართულება არ

6. თუ რომელიმე სამეცნიერო მიმართულებაში არცერთი პროექტი არ შეფასდება 36- ზე მეტი ან ტოლი ქულით, მაშინ აღნიშნული სამეცნიერო მიმართულება დარჩება დაფინანსების გარეშე.

§4. კონკურსის ბიუჯეტის განაწილების წესი სამეცნიერო ქვე-მიმართულებების მიხედვით.

თითოეული სამეცნიერო ქვე-მიმართულებიდან განიხილება მხოლოდ საუკეთესო პროექტები (იხილეთ § 2- ის 1-4 პუნქტები).

1. $\tau_{i,j}$ - ით აღნიშნება i - ური სამეცნიერო მიმართულების i,j ქვე-მიმართულების საუკეთესო პროექტების რაოდენობა, სადაც $i= 1,2, 3, 4$.
2. თითოეული i,j ქვე-მიმართულებისათვის განისაზღვრება $\lambda_{i,j}$ კოეფიციენტი შემდეგი ფორმულით:

$$\lambda_{i,j} = \frac{\tau_{i,j}}{t_i}, \quad i= 1,2, 3, 4$$

სადაც t_i არის i - ური სამეცნიერო მიმართულების საუკეთესო პროექტების რაოდენობა (იხილეთ § 3.- ის პუნქტი 1).

3. თითოეული i,j ქვე-მიმართულებისათვის განისაზღვრება ბიუჯეტი შემდეგი ფორმულით:

$$\varphi_{i,j} = \lambda_{i,j} f_i, \quad i= 1,2, 3, 4,$$

სადაც $\varphi_{i,j}$ არის i,j ქვე-მიმართულების ბიუჯეტი, ხოლო f_i წარმოადგენს i - ურ სამეცნიერო მიმართულების ბიუჯეტს. (იხილეთ §3- ის 4 და 5 პუნქტები).

4. თუ რომელიმე i,j ქვე-მიმართულება არ შეიცავს არცერთ საუკეთესო პროექტს, მაშინ ის დარჩება დაფინანსების გარეშე.

§ 5. პროექტის დაფინანსების წესი.

1. თითოეული ქვე-მიმართულებისათვის ცალ-ცალკე კეთდება ქულების მიხედვით პროექტების რანჟირებული სია.

დაფინანსდება და ბიუჯეტი f_4 , რაც შეადგენს კონკურსის ბიუჯეტის 10%-ს, დაემატება 1, 2, 3 სამეცნიერო მიმართულებების მთლიან ბიუჯეტს.

2. ყოველ ქვე-მიმართულებაში ფინანსდება მხოლოდ საუკეთესო პროექტები შესაბამისი რანჟირებული სიის მიხედვით (ზემოდან ქვევით), სანამ ქვე-მიმართულებისათვის განკუთვნილი ბიუჯეტი იძლევა პროექტის სრულად დაფინანსების საშუალებას.
3. $r_{i,1}$ - ით აღნიშნება თანხის ოდენობა, რომელიც დარჩება $i.1$ ქვე-მიმართულებაში ნაშთის სახით. $r_{i,2}$ - ით აღნიშნება თანხის ოდენობა, რომელიც დარჩება $i.2$ ქვე-მიმართულებაში ნაშთის სახით და ა.შ. $r_{i,z}$ - ით აღნიშნება თანხის ოდენობა, რომელიც დარჩება $i.z$ ქვე-მიმართულებაში ნაშთის სახით. ($i.z$ ქვემიმართულება არის i სამეცნიერო მიმართულებაში შემავალი რიგით ბოლო ქვე-მიმართულება, რომელიც შეიცავს თუნდაც ერთ საუკეთესო პროექტს.

$$R_i = r_{i,1} + r_{i,2} + \dots + r_{i,z} \quad i=1,2,3,4$$

სადაც R_i არის i სამეცნიერო მიმართულებაში შემავალი ყველა ქვე-მიმართულებებიდან ნაშთების სახით დარჩენილი თანხათა ჯამი.

4. R_i თანხა ნაწილდება i სამეცნიერო მიმართულებისათვის ($i=1,2,3,4$) შედგენილი ერთიანი რანჟირებული სიის მიხედვით დაფინანსების გარეშე დარჩენილ საუკეთესო პროექტებს შორის (ზემოდან ქვემოთ) ქვე-მიმართულებების გაუთვალისწინებლად, სანამ აღნიშნული თანხა იძლევა პროექტის სრულად დაფინანსების საშუალებას.
5. თითოეული სამეცნიერო მიმართულებიდან ნაშთის სახით დარჩენილი თანხათა ჯამი აღნიშნება Δ - თი.

$$\Delta = \delta_1 + \delta_2 + \delta_3 + \delta_4 ,$$

სადაც $\delta_1, \delta_2, \delta_3, \delta_4$ შესაბამისად 1, 2, 3, 4 სამეცნიერო მიმართულებებში ნაშთის სახით დარჩენილი თანხებია.

6. Δ თანხა ნაწილდება დაფინანსების გარეშე დარჩენილ 36-ზე მეტი ან ტოლი ქულის მქონე პროექტებს შორის ერთიანი რანჟირებული სიიდან (ზემოდან ქვევით), სამეცნიერო მიმართულებების გაუთვალისწინებლად, სანამ აღნიშნული თანხა იძლევა პროექტის სრულად დაფინანსების საშუალებას.
7. ზემოაღნიშნული პროცედურების შემდეგ, ნაშთის სახით დარჩენილი თანხა, რომელიც არ იქნება საკმარისი ერთიანი რანჟირებული სიის რიგით შემდეგი 36-ზე მეტი ან ტოლი ქულით შეფასებული პროექტის დასაფინანსებლად, დაბრუნდება ფონდის ბიუჯეტში.